ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4: 1/ე 203-16

"19" 02 2016 წ.

დადგენილება №000901
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

19.02.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2015 წლის 08 დეკემბრის №000901 მითითება და 2015 წლის 29 დეკემბრის №000901 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №211328810, დირ. მალხაზი როსტიაშვილი (პირადი №16001002365, მის: ქ. თბილისი, ვანის ქ. №4) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. №14ა-ში (საკ. კოდი №01.11.04.025.015) შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საოფისე, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სამრეწველო შენობის) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №595639 AR1113570 19.03.2013წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადები: ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების, კარებების გაბარიტები, რაოდენობა, ადგილმდებარეობა და ნახატი. შეცვლილია წყალშემკრები მილების რაოდენობა, ადგილმდებარეობა და ფორმა, ასევე დამატებით მოწყობილია საცრემლეები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია საჰაერო მილები და კონდენციონერები. ±0.000 ნიშნულიდან ქვევით შეცვლილია კედლის ფორმა. გაზრდილია შენობის სიმაღლე, ასევე შეცვლილია სახურავის დახრა. „1-10" ფასადი: ±0.000 ნიშნულის ქვევით ბეტონით მოპირკეთების ნაცვლად მოწყობილია დეკორატიული ქვა. გაუქმებულია საჩრდილობლები. „10-10" ღერძთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური ნაგებობა. „10-1" ფასადი: ±0.000 ნიშნულზე „2-1" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე. „0.000 ნიშნული: „3-6" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი, ლითონის მილკვადრატები და სენდვიჩპანელი, რითაც დამატებულია ფართი, რაც დაახლოებით 90 კვადრატული მეტრია. „6-7" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძთან გაზრდილია ფილა და გაუქმებულია საფეხური. „9-10" მონაკვეთში შებრუნებულია კიბე, ასევე შეცვლილია გაბარიტები და საფეხურების რაოდენობა. +3.100 ნიშნული: გაზრდილია ფილის გაბარიტები

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 50[illegible] 2 378 396

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროექტში არ არის აღნიშნული კაპიტალური კედლები. კედლებზე დამატებით მოწყობილია ლითონის სამაგრები.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2015 წლის 08 დეკემბერს შედგენილ იქნა მითითება №000901, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2015 წლის 29 დეკემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000901, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2016 წლის 16 თებერვალს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ის დირექტორი მალხაზ როსტიაშვილი (პირადი №16001002365), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ დარღვევების აღმოფხვრას აპირებენ პროექტის კორექტირების გზით. მას შემდგომ აპირებენ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით სამსახურისათვის მომართვას. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. №14ა-ში (საკ. კოდი №01.11.04.025.015) შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საოფისე, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სამრეწველო შენობის) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №595639 AR1113570 19.03.2013წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ლგ გლასს" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 0

ID 429836618

გადამხდელის დასახელება	შპს "ლუ გლასს"	თანხა ციფრებით 4000.00 **GEL**
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	211328810	
ანგარიშის ნომერი	GE32PC0133600100059793	თანხა სიტყვებით ოთხიათასი ლარი 00 თეთრი
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22	
საბიუჯეტო / სსიპ-ის სახარგებლოდ გადახდა		სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) ☐
დასახელება	შპს "ლუ გლასს"	სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:30 სთ-მდე
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	211328810	
მიმღების დასახელება	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში(სხვა შემოსულობები/თვითმმართველი ქალაქი თბილისი)	**ბანკის აღნიშვნები**
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263	
მიმღების ბანკი / ხაზინა	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური კოდი TRESGE22	ბანკში შემოსვლის თარიღი **11.03.2016 16:21**
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	ხელმოწერა - - - - - - - - - - - - -
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება # 000901 (19/02/2016წ)	ᲞᲠᲝᲙᲠᲔᲓᲘᲢ ᲑᲐᲜᲙᲘ PROCREDIT BANK ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ELECTRONIC SERVICE CENTER
ხელმოწერები -	ბეჭდის ადგილი თარიღი: **11.03.2016**	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com